ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პაატა ლილუაშვილის ანგარიში 2021 წლის დეკემბრის თვიდან დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ.

საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობისა კოდექსი“ გვამცნობს, რომ საკრებულო არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე. ოთხი წლის ვადით არჩეული საკრებულოს უფლება-მოვალეობებში სხვა ბევრ საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ ვალდებულებასთან ერთად შედის ანგარიშვალდებლება ამომრჩევლის წინაშე.

მოგეხსენებათ, ახალი, მეშვიდე მოწვევის საკრებულო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2021 წლის დეკემბრის თვიდან, საიდანაც იწყება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლება-მოვალეობების შესრულების ათვლა, შესაბამისად ამომრჩევლების წინაშე საჯაროობის პრინციპის დაცვით გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის ჩაბარების ვალდებულება.

ეს ვალდებულება, გარდა იმისა რომ ჩვენ, საკრებულოს წევრებს გვაკისრებს თანამდებობრივ პასუხისმგებლობას, ამომრჩეველს საშუალებას აძლევს ზედმიწევნით იყოს საქმის კურსში მის მიერ ნდობამინიჭებული პირების მიერ გაწეული სამუშაოსა და მუნიციპალიტეტის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე ჩატარდა საკრებულოს 17 სხდომა. მათ შორის 12 რიგითი, 5 რიგგარეშე. სხდომების მომზადებისა და ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საჯაროობის პრინციპების დაცვას, ყველა სხდომის მოწვევისა და მათი დღის წესრიგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ადგილობრივი თვითმმართველობის საინფორმაციო დაფაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე, ტელე-რადიო კომპანია „რიონისა“ და ფეისბუქის ოფიციალური გვერდის მეშვეობით.

საკითხების წინასწარი მომზადებისა და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ იურიდიული პირების კონტროლის მიზნით საკრებულოში შექმნილია ხუთი კომისია,

რომელთა შორის გახლავართ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიების წევრი. შესაბამისად, აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს ზემოხსენებული კომისიების საქმიანობაში. მათი შექმნიდან დღემდე ჩატარდა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 19 სხდომა სადაც განხილულ იქნა 66 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და არცერთი ჩაშლილი და გადადებული.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით მომზადებული აქვს 65 დასკვნა და ერთი წარდგინება. დეტალურად აქვს განხილული როგორც ინდივიდუალური ასევე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი მხარე, მათი შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან.

ამასთანავე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2021 წლის 23 დეკემბრის კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტებთან ერთად, სადაც წამოიჭრა კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები, დამტკიცდა და მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

რაც შეეხება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის კომისიას, მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა 9 სხდომა და განხილულ იქნა 11 საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქის ახალგაზრდობის სწორი და მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრირება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების მხარდაჭერა, კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

ამასთანავე, სერიოზული სამუშაოები ჩატარდა გზებისა და ტროტუარების, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის, ფასადების რეაბილიტაციის, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის შეძენის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის, ეზოების კეთილმოწყობის, ლიფტების რეაბილიტაციის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის.

დაკონკრეტებისათვის აღვნიშნავ, პირადად ჩემი ინიციირების საფუძველზე დაიწყო სამი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება, რომელთაგან ერთ-ერთი მეტად საჭირბოროტო და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ქუთათურებისთვის - ეს გახლავთ ქუთაისის ყოფილი ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობის განახლების, უფრო სწორად თავიდან აშენების და მისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვის პროექტის განხორციელება, რაც უკვე დაიწყო და შენობა მშენებლობის პროცესშია. პრინციპი, რომლითაც აღდგება შენობა ქმნის პრეცენდენტს რომლის მიხედვითაც შენობას უნარჩუნდება იერსახე, მაგრამ, მასში განთავსდება თანამედროვედ აღჭურვილი მულტიფუნქციური საგამოფენო ცენტრი. ეს არ გახლავთ ჩემთვის მხოლოდ ინიციატივა, ჩემის აზრით ეს არის პრინციპი, რომლითაც უნდა მოხდეს ქუთაისის, როგორც ძველი ქალქის იერსახის არქიტექტურული განვითარება. მხოლოდ ასე შევძლებთ ჩვენ ისტორიულ-არქიტექტურული სახის შენარჩუნებას

მეორე, გახლავთ პროექტი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც DMO იმერეთის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორისათვის და რაც ხელს შეუწყობს ქუთაისის ტურისტული სერვისისა და პოტენციალის დახვეწა - გაზრდას. პროექტი მოიცავს რიონზე ჯომარდობის სერვისის გაუმჯობესებას და საჯომარდო მონაკვეთში სასტარტო და საფინიშო შენობების აგებასა და მოწყობას, რაც მეტად მნიშვნელოვანია საკითხი სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურიზმის ქართველი და უცხოელი მოყვარულებისათვის.

მესამე პროექტი ითვალისწინებს კუპრაძის ქუჩაზე, სასამართლოს შენობის უკან სპორტული დარბაზის მოწყობას, მისი სპორტული ინვენტარითა და ალპინისტური კედლით აღჭურვას.

აქვე, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას ვინც მხარი დაუჭირა ჩემს ინიციატივას. ამით საშუალება მოგვეცა კიდევ ერთი აგური დაიდოს ჩვენი ქალაქის გავითარების საქმეში.

აღნიშნული მიმდინარე პროექტების პარალელურად დაწყებულია ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის პროექტზე მუშაობა, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩვენი თანაქალაქელებისათვის საყვარელი პარკი თანამედროვე სტანდარტების მქონე გართობისა და დასვენების ადგილად ვაქციოთ.

მოგახსენებთ რომ, ჩემთვის, როგორც ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის ხელშეწყობა, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით პრობლემატური საკითხების წამოჭრა და მათი მოგვარების გზების ძიება საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად, პროგრესისა და განვითარებისაკენ მიმართული პროექტების ინიციირება და რაც მთავარია ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა ამომრჩევლისა და ჩემი ქალაქის წინაშე.